

გაეროს ბავშვთა ფონდი (ი უ ნ ი ს ე ფ ი) საქართველოში

საინფორმაციო ბიულეტენი #1 (#20)

გაეროს

ბავშვთა ფონდი
(ი უ ნ ი ს ე ფ ი)
საქართველოში

საინფორმაციო ბიულეტენი #1 (#20)

თბილისი, 2018

ბავშვთა უფლებების მონიტორინგის გაძლიერება



©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2018/ბლაგონრაგოვა

ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა 2017 წელს, როცა შეიქმნა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი კომისია. კომისია შეიმუშავებს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ყოველწლიურ გეგმას და კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევს საქართველოს მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. კომისია ასევე უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას ბავშვის უფლებათა კონვენციასა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, შეაგროვებს შესაბამის მონაცემებსა და ინფორმაციას და იზრუნებს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი რეკომენდაციების შესრულებაზე.

უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციის საპასუხოდ. კომისიას ხელმძღვანელობს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსი და შედგება სამინისტროების, პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს, სახალხო დამცველის აპარატის, გაეროს ბავშვთა ფონდის და ბავშვის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსთან თანამშრომლობით გაეროს ბავშვთა ფონდმა ტექნიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა კომისიას შემუშავდეს ბავშვებთან დაკავშირებული სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ნაწილი იქნება.

ბავშვთა უფლებების საკითხების მონიტორინგის გაძლიერება სახალხო დამცველის ოფისში

გაეროს ბავშვთა ფონდის პარტნიორობა სახალხო დამცველის ოფისთან აძლიერებს ბავშვთა უფლებების დაცვის დამოუკიდებელ მონიტორინგს. ეს გულისხმობს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრისა და რეგიონული ოფისების შესაძლებლობების გაძლიერებას. კერძოდ, გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით სახალხო დამცველის ოფისი უფრო ეფექტიანად ახდენს ბავშვთა უფლებების დარღვევის შემთხვევათა იდენტიფიცირებასა და აღრიცხვას.

ბავშვის უფლებების მონიტორინგის გასაუმჯობესებლად 2017 წელს შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებისაგან შემდგარი საკონსულტაციო კომიტეტი.

კომიტეტმა მუშაობის ძირითად მიმართულებად ბავშვებზე ძალადობის საკითხები განსაზღვრა.

სოციალური პოლიტიკა



**მოსახლეობის
კეთილდღეობის
კვლევა
2017**


©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2018/ხეთაგური

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა

გაეროს ბავშვთა ფონდმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო 2017 წელს საქართველოში ბავშვთა და ქალთა საკითხებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვების მიმართულებით, განსაკუთრებით კი ყველაზე დაუცველ ჯგუფებთან მიმართებით. დასრულდა მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მეხუთე რაუნდი, ოჯახების ორწლიანი კვლევა, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და რომლის მიზანია სიღარიბისა და უთანასწორობის ტენდენციებზე დაკვირვება.

კვლევა საკვანძო ინსტრუმენტია ბავშვთა სიღარიბისა და უთანასწორობის საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და სოციალური დაცვის პროგრამების განსახორციელებლად.

სოციალური დახმარებები გახდა უფრო მიზნობრივი და ბავშვის დანამატთან ერთად ხელს უწყობს ბავშვთა სიღარიბის შემცირებას; მიზნობრივი სოციალური დახმარება უკეთ ხედავს ბავშვიან ღარიბ ოჯახებს; სიღარიბის დონე გაიზარდა მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის; მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ჯანდაცვის მომსახურებები; შემცირდა სხვაობა სოფელსა და ქალაქს და მდიდარ და ღარიბ მოსახლეობას შორის სკოლამდელ



დანეხებულებში ჩართულობის თვალსაზრისით, თუმცა საბავშვო ბაღების არარსებობის გამო დაახლოებით 14 000 ბავშვი კვლავ ვერ დადის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში – ეს არის იუნისეფის მიერ წარმოდგენილი მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის ზოგიერთი შედეგი.



სოციალური სერვისების აღწერა

ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის, „ადამიანის უფლებები ყველასათვის“, ფარგლებში გაეროს ბავშვთა ფონდმა შეისწავლა, თუ რა სახის სოციალური მომსახურებები და დახმარებები ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ხუთი ჯგუფისთვის: მარტოხელა ხანდაზმულები; მარტოხელა მშობლები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები/ზრდასრულები; მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები; ღარიბი ბავშვიანი ოჯახები.

სოციალური დახმარებების აღწერა მოიცავდა სამი სახის სოციალურ დახმარებას:

- პირდაპირ ფინანსურ დახმარებას;
- არაპირდაპირ ფინანსურ დახმარებას სუბსიდირების სახით;
- მომსახურებებს.

კვლევამ გამოავლინა, რომ რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლებისა თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამები ხუთივე სამიზნე ჯგუფს ფარავს, შესაძლოა ხდებოდეს ზოგიერთი მომსახურების დუბლირება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტებს ძირითადად აქვთ სოციალურ სარეიტინგო ქულაზე მიბმული დახმარებები. ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პრიორიტეტები მსგავსია, ერთი და იგივე ადამიანები შესაძლოა იღებდნენ დახმარებას როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე, ხოლო ისინი, ვინც ცენტრალურ პროგრამებში არ არიან ჩართულნი, არანაირ დახმარებას არ იღებენ.

ანგარიში „სოციალური დახმარებების აღწერა და რეკომენდაციები“ წარმოადგენს ოთხ ძირითად რეკომენდაციას, რომლებიც ეფუძნება მუნიციპალიტეტებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებს შორის უფრო ეფექტიან თანამშრომლობას.



- მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების ფორმების სტანდარტიზაცია. სტანდარტული ფორმები სოციალური მომსახურების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს გაუმარტივებს სოციალური პროგრამების დაგეგმვას და მუნიციპალურ დახმარებას უფრო მიზნობრივსა და გამჭვირვალეს გახდის.
- დახმარებების სტანდარტიზაცია. მეტი ეფექტიანობისთვის პირველადი დახმარებების საბაზისო სისტემა უნდა დაინერგოს ყველა მუნიციპალიტეტში.
- მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურების სისტემის შემოღება როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.
- საჭიროებათა რეგულარული კვლევები მუნიციპალურ დონეზე.

ბავშვთა შეფასების ახალი მექანიზმი

შემუშავდა ბავშვთა შეფასებისა და რეფერირების მექანიზმი (კითხვარი, შევსების ინსტრუქცია და შეფასების სისტემა), რომლის მიზანია ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბეღყოფის შესაძლო შემთხვევების გამოვლენა, პრევენცია და მსხვერპლთა გადამისამართება შესაბამის სოციალურ სამსახურებთან. ახალი მექანიზმის შესწავლის მიზნით სპეციალური მომზადება გაიარეს სოციალურმა

აგენტებმა და სოციალურმა მუშაკებმა. რამდენადაც სოციალური აგენტები ოჯახების დაახლოებით 40 პროცენტს აფასებენ, მოსალოდნელია, რომ ახალი მექანიზმი ხელს შეუწყობს ძალადობისა და უგულბეღყოფის შემთხვევების გამოვლენას, პრევენციასა და გადამისამართებას. 2017 წელს შეფასების აღნიშნული პაკეტი საქართველოს მასშტაბით 400-მდე ოჯახში გამოიყენეს, ხოლო 2018 წლისთვის ის სრულად დაინერგება.



© გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2015/ხეთაგური

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) შინამეურნეობათა ერთ-ერთი უდიდესი კვლევაა, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავდა, სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება და აგროვებს ძირითად ინდიკატორებს ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესაფასებლად. კვლევა საქართველოში 2018 წელს დაიწყო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდისა და სხვა დონორი ორგანიზაციების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის შედეგად საქართველოში შეგროვდება ხარისხიანი და საერთაშორისო დონეზე შედარებადი

მონაცემები სხვადასხვა სფეროში ქალებისა და ბავშვების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვასა და შემუშავებას. კვლევის ფარგლებში აიღება სინჯები ტყვიანობის და გავრცელების შესახებ, სისხლში ტყვიის შემცველობის დონე. შეგროვდება მნიშვნელოვანი მონაცემები შესაბამისი რეგულაციების, პოლიტიკის, ინსპექციის, ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გასატარებლად, რაც აუცილებელია საქართველოში ტყვიით მოწამვლის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.

კვლევის შედეგები, მათ შორის ტყვიის შემცველობის შესახებ, ხელმისაწვდომი გახდება 2019 წელს.

სოციალური ინკლუზია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის



©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2017/ბლანკონრაგოვა

შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალური მოდელის დანერგვა

2017 წელს იუნისეფმა განაგრძო მთავრობის მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სამედიცინო მოდელიდან (რომელიც უშუალოდ შეზღუდულ უნარზეა ფოკუსირებული) სოციალურ მოდელზე გადასასვლელად, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის შესაძლებლობებსა და იმ ბარიერებს, რომლებიც მათ აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით. ათწლეულების მანძილზე ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა საქართველოში მხოლოდ ექიმების მიერ ჩატარებულ სამედიცინო შემოწმებას ეფუძნებოდა. ეს მოდელი ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებს გამოავლენს, მაგრამ ის არ ითვალისწინებს ადამიანის უნარებსა თუ ფუნქციურ საჭიროებებს. მხოლოდ სამედიცინო მიდგომა ვერ გააუმჯობესებს იმ სოციალურ და გარემო ფაქტორებს, რომლებიც აფერხებს ადამიანის სრულ ჩართულობას; ეს მიდგომა ვერ განსაზღვრავს ადამიანების ინდივიდუალურ საჭიროებებს ტექნიკური დახმარებისა თუ სოციალური სერვისების თვალსაზრისით.

სოციალური მოდელი არ უგულებელყოფს შეზღუდულ შესაძლებლობას და მათ გავლენას ინდივიდზე, თუმცა ის გულისხმობს, რომ იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები სრულად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უნდა შეიცვალოს გარემო და მიდგომები. სოციალური მოდელი ეფუძნება ხედვას, რომ თუ საზოგადოება ადგენს სისტემურ, გარემო თუ სოციალურ ბარიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის, მაშინ საზოგადოება უნდა შეიცვალოს და არა ადამიანი - საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ამ ბარიერების მოშლაზე.

მაგალითად, თუ ეტლით მოსარგებლე ადამიანს არ შეუძლია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება, რადგან ის არაა ადაპტირებული, ტრანსპორტი უნდა მოერგოს ეტლით მცხოვრები ადამიანის საჭიროებას, რათა ეტლით მოსარგებლე არ აღმოჩნდეს იზოლირებული.

სოციალური მოდელის ყველაზე ძლიერი მხარე ისაა, რომ ეს მოდელი პასუხისმგებლობას საზოგადოებას აკისრებს და არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს.

გაეროს ბავშვთა ფონდი ეხმარება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მოდელის დამკვიდრებაში შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების სტატუსის დადგენის პროცესი ითვალისწინებდეს მათ ინდივიდუალურ ფუნქციონალურ საჭიროებებსა და შეზღუდულ შესაძლებლობას, ისევე, როგორც მათ დიაგნოზს და ზრდიდეს თავად ბავშვისა და მისი ოჯახის როლს შეფასების პროცესში.

ასეთი მიდგომა დადებითად აისახება გარემოში არსებული ბარიერების შეფასებასა და სოციალური მოდელის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაზეც. შედეგად, სოციალური პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეალურ საჭიროებებს მოერგება.

გაეროს ბავშვთა ფონდმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად განსაზღვრა ფუნქციური შეფასების მექანიზმი საერთაშორისო კლასიფიკაციის საფუძველზე. მიმდინარეობს აღნიშნული მექანიზმის ადაპტაცია ქართული რეალობის გათვალისწინებით და 2018 წელს დაგეგმილია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განსაზღვრის ახალი სისტემის პილოტირება.

შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე პოლიტიკის დიალოგი

საქართველოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე პოლიტიკის დიალოგი, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებს ერთად ემსჯელათ იმ ხარვეზებზე, რაც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ისარგებლონ სოციალური მომსახურებებით. ამჟამად ათასობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ვერ ახერხებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებას ამგვარი მომსახურებების ნაკლებობის, არათანაბარი გადანაწილებისა და ასევე საზოგადოებაში არსებული ნეგატიური განწყობების გამო.

სოციალური მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის არასაკმარისია და ბევრ რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტში საერთოდ არ არსებობს. აუცილებელია იმის შეფასება, თუ რა ტიპის მომსახურებები არსებობს და კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ დახმარება ყველა ბავშვისათვის იყოს ხელმისაწვდომი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ძალიან ბევრი ბავშვი კვლავ არ არის რეგისტრირებული და ეს ბავშვები არ იღებენ არც სოციალური დახმარებას და არც სხვა სახის მომსახურებას. შესაბამისად ისინი იზოლირებულნი არიან საზოგადოებისაგან და ხდება მათი დისკრიმინაცია. შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სანდო სტატისტიკური მონაცემები აუცილებელია ეროვნული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე პოლიტიკის დიალოგი მიზნად ისახავს კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას და სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრას. აღნიშნული რეკომენდაციები ეროვნული პოლიტიკის დღის წესრიგშიც აისახება.


სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურებები

სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება ქუთაისში

2017 წელს ქუთაისში ახალი, საოჯახო ტიპის სპეციალიზებული მომსახურება შეიქმნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.

სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება თემში ინტეგრირებული პირველი მომსახურებაა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვებისთვის. დიდი ზომის სახელმწიფო დაწესებულებებიდან გადაყვანილი ბავშვები აქ 24 საათიან საექთნო მომსახურებას, რეაბილიტაციას, ინდივიდუალური განვითარების და თემში ინტეგრირების სერვისებს იღებენ.

მომსახურების მიზანია ჩვილების და ბავშვების ოჯახურ გარემოში გაზრდა და მათი ინდივიდუალური განვითარებისათვის საჭირო მომსახურებების მიწოდება. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გაეროს



ბავშვთა ფონდი დაეხმარა მთავრობას შენობის რეაბილიტაციასა და აღჭურვაში; ზრუნვის სტანდარტების შემუშავებაში; ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, მომვლელების და სოციალური მუშაკების გადამზადებაში; ასევე ამ სერვისის დაკავშირებაში ქუთაისის კლინიკებთან და სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ სამსახურთან.

ასეთი ტიპის მომსახურებების დაარსება საქართველოს მთავრობას საშუალებას მისცემს გააფართოოს ალტერნატიული მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის და ეტაპობრივად ჩაანაცვლოს ბავშვებზე ინსტიტუციონალური ზრუნვის მოდელი. ასეთი სერვისები უნდა შეიქმნას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, რომლებიც დღემდე სახელმწიფო დიდი ზომის ინსტიტუციებში რჩებიან, ოჯახურ გარემოში ცხოვრების საშუალება მიეცეთ.

სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება თბილისში

2017 წელს დეველოპერულ კომპანია „m² უძრავი ქონება“-თან თანამშრომლობით თბილისში საფუძველი ჩაეყარა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის კიდევ ერთი სპეციალიზებული საოჯახო ტიპის დაწესებულების მშენებლობას. მომსახურება 2018 წელს გაიხსნება. კომპანია M²-მა დააფინანსა საოჯახო ტიპის სახლის მშენებლობა, ხოლო გაეროს ბავშვთა ფონდმა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით, განავითარა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების მოდელი, შექმნა სტანდარტები, მოახდინა აღნიშნული დაწესებულების რეაბილიტაცია, აღჭურვა და გადაამზადა პროფესიონალები, რომლებიც ბავშვებთან იმუშავებენ.



© გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2017/ხეთაგური

ეს სახლი მოემსახურება თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლიდან გადაყვანილ, მძიმე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი საქართველოში შემორჩენილი ორი დიდი ზომის ინსტიტუციიდან ერთ-ერთია. საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ასეთი თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის მზრუნველი გარემოს შექმნას ისახავს მიზნად.

დღის ცენტრი ბორჯომში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის

2017 წლის დეკემბრიდან ახალი დღის ცენტრის დახმარებით ბორჯომში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი მომსახურება და ისინი იცხოვრებენ უფრო აქტიური და დამოუკიდებელი ცხოვრებით. ეს პირველი ასეთი ცენტრია მთელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. დღის ცენტრი დაფინანსებულია ბულგარეთის განვითარების ორგანიზაციის მიერ და პროექტს ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდი და მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის.

ცენტრი მასპინძლობს 6-დან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 30 ბავშვსა და მოზარდს, სთავაზობს მათ არაფორმალურ განათლებას, თერაპიულ აქტივობებს და ეხმარება სოციალური უნარების განვითარებაში. ცენტრი უზრუნველყოფს ბავშვებისა და მოზარდების ტრანსპორტირებასაც სახლიდან ცენტრამდე და უკან, ისევე, როგორც მათ კვებას დღის მანძილზე.

გაეროს ბავშვთა ფონდმა მოახდინა შენობის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა აუცილებელი ინვენტარით, რათა შეექმნა მეგობრული გარემო სწავლის, განვითარებისა და გართობისთვის; გადაამზადა სხვადასხვა სფეროს პროფესიონალები მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ ცენტრის კავშირს საჯარო სკოლებთან, რათა ბავშვები ჩაერთონ ფორმალური განათლების სისტემაშიც.



©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2017/ტურაბელიძე

სოციალურ ცვლილებებისკენ მიმართული საკომუნიკაციო კამპანია „დაინახე ყველა ფერი“

ორწლიანი საკომუნიკაციო კამპანია სოციალური ცვლილებისათვის – „დაინახე ყველა ფერი“ დაიწყო 2017 წლის თებერვალში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ არსებული ცრურწმენების, უარყოფითი დამოკიდებულებების შეცვლისა და მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანი იქნება ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც ბავშვთა საჭიროებები და უფლებები დაცული იქნება. კამპანიის ძირითადი მიმართულებებია:


- შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და არსებული მითებისა და სტერეოტიპების მსხვრევა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უნარების წარმოჩენა, სწორი ურთიერთობის მაგალითების ჩვენება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და არმქონე ბავშვებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და მუდმივი კომუნიკაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მშობლების გაძლიერება მათი უფლებების ლობირების მიზნით.
- პოლიტიკის დიალოგებისა და საზოგადოებრივი დისკუსიის გააქტიურება, ისევე როგორც ადგილობრივ დონეზე არსებული მომსახურებების გაძლიერება.

კამპანია „დაინახე ყველა ფერი“-ს ფარგლებში მოსახლეობის ინფორმირების მიზნით გაიმართა სხვადასხვა სახალისო აქტივობა თბილისსა და 7 რეგიონში ადგილობრივი სახალხო დღესასწაულებისა და ხალხმრავალი ღონისძიებების დროს; მომზადდა და გავრცელდა ფოტო და ვიდეო ისტორიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების


მონაწილეობით, რომლის მიზანიც იყო მათი შესაძლებლობების წარმოჩენა და მათი საჭიროებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება; ცნობილმა მუსიკოსებმა თავიანთ კონცერტებზე ისაუბრეს კამპანიისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესახებ; მომზადდა და სკოლებსა და უნივერსიტეტებში გავრცელდა ბროშურები „მითები და რეალობა“ საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმების შესახებ და ასევე კომიქსი „თანასწორი ურთიერთობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან“, რომელიც ასახავს შშმ პირებთან დაკავშირებით სტერეოტიპულ ქცევებს და მათ ალტერნატივას; ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან, ბავშვებსა და ახალგაზრდებთან სკოლებსა და უნივერსიტეტებში; გაიმართა კონკურსი მუნიციპალიტეტებს შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვისა და ადვოკატირების საუკეთესო გამოცდილებისა და სოციალური პროგრამების გამოსავლენად.

კამპანიამ ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ქართულ საზოგადოებაში არსებული სტიგმის მსხვრევას.

2017 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ სტიგმა შემცირდა



ბავშვთა მიმართ ძალადობა



©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2015/ხეთაგური

გლობალური პარტნიორობა ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევისათვის

იუნისეფის მხარდაჭერით საქართველო შეუერთდა ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური პარტნიორობის პლატფორმას, რომლის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ქვეყნების დახმარება ძალადობის დასაძლევად ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებაში.

პარტნიორობა აერთიანებს სახელმწიფოების, გაეროს სააგენტოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, რელიგიურ ორგანიზაციების, კერძო სექტორის, აკადემიური, კვლევითი ორგანიზაციებისა და ბავშვების ძალისხმევას იმისათვის რომ:

- შეიქმნას და შენარჩუნდეს პოლიტიკური ნება ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის;
- გაძლიერდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებები;
- გაძლიერდეს თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით, ისევე როგორც ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება.

საქართველოს გლობალური პარტნიორობის პლატფორმაზე წარმოადგენს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტებში

გაეროს ბავშვთა ფონდი მხარს უჭერს მთავრობა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების გაძლიერებასა და გაფართოებაში. ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო მექანიზმის მიზანია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, შეფასება და მათზე რეაგირება. ის პასუხისმგებლობას აკისრებს ბავშვებთან მომუშავე ყველა ადამიანს, გამოავლინოს ნებისმიერი სახის ძალადობა ბავშვებზე და სათანადოდ იმოქმედოს.

მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის საქმეში, რადგან ისინი მჭიდრო კავშირში არიან ბავშვების ოჯახებთან და აწვდიან მათ სხვადასხვა სახის მომსახურებას. სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაში მათ დასახმარებლად, გაეროს ბავშვთა ფონდმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვსივე მუნიციპალიტეტში იმუშავა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ადგილობრივ დონეზე გასაძლიერებლად. ინიციატივა ევროკავშირის დახმარებითა და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა და მისი მიზანი იყო მუნიციპალურ დონეზე სათანადო ადამიანური რესურსის გამოვლენა და ამ პირების აღჭურვა საჭირო ცოდნითა და უნარებით, ასევე შიდა რეგულაციებისა და შესაბამისი სამუშაო პროცედურების შემუშავება, რომლებითაც ეს ადამიანები იხელმძღვანელებენ ბავშვებზე ძალადობის ან უგულებელყოფის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევებში.



სამი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა:

- 1 აჭარის რეგიონის თითოეულ მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირდნენ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირები. მათ გაიარეს საგანგებო მომზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის ბიო-ფსიქო-სოციალურ ასპექტებსა და შესაბამის საკანონმდებლო საკითხებზე, განსაკუთრებული აქცენტი ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებზე;
- 2 შემუშავდა და დამტკიცდა ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შესაბამისი შიდაგანაწესები ექვსივე მუნიციპალიტეტში და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები.
- 3 ექვსივე მუნიციპალიტეტში მოხილბდა ბავშვთა დაცვისა და რეფერირების პროცედურებში ჩართული ყველა ძირითადი მხარე (სკოლებისა და საბავშვო ბაღების პერსონალი, სამედიცინო მუშაკები, პოლიციის თანამშრომლები და თემის ლიდერები). ყველას მიენოდა ინფორმაცია სამუშაო რეგულაციებისა და პროცედურებზე და გაიმართა დისკუსიები ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აჭარაში დაგეგმილია სამომავლო აქტივობები მუნიციპალურ დონეზე რეფერირების მექანიზმის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით და მუნიციპალიტეტების თანამშრომლების შესაძლებლობათა გადრმავეებისთვის, რათა უფრო ეფექტიანად მოახდინონ რეაგირება ოჯახებში არსებულ პრობლემებზე.

სკოლებში ბავშვებზე ძალადობის დამოუკიდებელი მონიტორინგი

სახალხო დამცველის ოფისმა, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი ჩაატარა.

მონიტორინგმა გამოავლინა ზრდასრულთა თუ თანატოლთა მიერ ბავშვებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, მათ შორის, ყვირილი, შეურაცხყოფილი და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ადამიანებს, ვისაც ამგვარ შემთხვევებზე რეაგირება ევალება, ხშირად საერთოდ არ აქვთ ამისთვის საჭირო კომპეტენცია. სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა. სკოლის თანამშრომლები არ არიან ინფორმირებულნი ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის სახელმწიფო მექანიზმის შესახებ.



ასევე დაბალია მოსწავლეთა ცოდნა თავიანთი უფლებებისა თუ ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ. მოსწავლეების უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია, თუ ვის უნდა მიმართოს მის მიმართ ძალადობის შემთხვევაში.

შეხვედრა მუნიციპალიტეტთან

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი შეიკრიბა თბილისში ორდღიან ფორუმზე, რათა შეთანხმდნენ როლებსა და პასუხისმგებლობებზე, რომლებიც ეკისრება ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს დაუცველი ოჯახების დახმარებისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ფორუმში ორგანიზებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ევროკავშირთან პარტნიორობით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების, სახალხო დამცველის ოფისის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ მუნიციპალიტეტების გადამწყვეტ როლზე დაუცველი ოჯახების დახმარების საქმეში და განიხილეს ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას საქართველოს მთავრობამ ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და ბავშვზე ძალადობის დასრულების გლობალურ პარტნიორობაში განწევრიანებისთვის.


ფორუმზე ასევე განიხილეს შემდეგი საკითხები:

ბავშვის დაცვის მიმართვიანობის პროცედურების შესაბამისი რეგულაციების შემუშავება და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, რეგულირებისათვის საჭირო პროფესიონალური შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე;

სხვადასხვა სახის ინკლუზიური მომსახურება ადგილობრივ დონეზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და მათი მშობლების მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკა;

მიმდინარე სოციალური დაცვის პროგრამები და მომსახურებები მუნიციპალურ და ცენტრალურ დონეზე, მათ შორის, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა; ამ პროგრამების გაუმჯობესების შესაძლებლობები და მუნიციპალურ დონეზე სოციალური დახმარების სქემების შემუშავება მიზნობრივი დახმარების მიღმა დარჩენილი ჯგუფებისთვის.

ფორუმზე მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სახელმწიფო დეცენტრალიზაციის სტრატეგიასა და 2014-2020 წლების ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.



მართლმსაჯულება ბავშვებისთვის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიზანია, შექმნას ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი და მათ საჭიროებებზე მორგებული სისტემა, რომელიც თითოეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებს.

რეფორმის ნაწილია პროექტი „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“, რომელიც ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის მხარდაჭერით. პროექტი ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელებას და მოწმე, დაზარალებული, კანონთან კონფლიქტში მყოფი და სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პროცესში ჩართული არასრულწლოვნების ინტერესების გათვალისწინებას.



© გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2017/ბლაგონრაგოვა

კანონმდებლობის გადახედვა

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მიმდინარეობს მუშაობა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რათა საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამებოდეს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.

მულტიდისციპლინური მიდგომა

შეიქმნა უწყებათაშორისი სამთავრობო მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განხორციელებისათვის უწყებებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია.

მონიტორინგის გაძლიერება

ძლიერდება მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებათა მონიტორინგის და ხარისხის უზრუნველყოფის უწყებრივი მექანიზმები.

ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და

სპეციალიზებული დახმარება ბავშვებისთვის

ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომზადება გაიარა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე დაახლოებით 2000 სპეციალისტმა პოლიციის თანამშრომლების, პროკურორების, მოსამართლეების, ადვოკატების და სხვათა ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა ისეთი ინსტიტუციური პროცედურების გაუმჯობესების თვალსაზრისით, როგორცაა სტანდარტები, შერჩევის კრიტერიუმები, ხარისხის მონიტორინგი და სპეციალიზებული მომუშავე პერსონალის შესაძლებლობათა უწყვეტი განვითარება.

ყველა შესაბამის სამთავრობო სამსახურს დაეგმილი აქვს სპეციალისტთა ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომელსაც დაევალოს როგორც ბავშვებზე მომხდარი ძალადობის შემთხვევების, ასევე ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევების გამოძიება. შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს ასევე სპეციალიზებული პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული გუნდის შექმნას, რომელსაც დაევალება ყველა იმ საქმის გამოძიება, რომლებშიც მონაწილეობენ ბავშვები.

ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა

შემუშავდა ბავშვებზე მორგებული გარემოს კონცეფცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცედურებში. შედეგად, მართლმსაჯულების სისტემაში იქმნება ბავშვზე მორგებული სივრცეები. ეს საშუალებას აძლევს ბავშვებს, უფრო დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ თავი მართლმსაჯულების პროცედურების მიმდინარეობისას და არ მოხდეს ბავშვების რეტრავმირება.

მონაცემთა ბაზების შექმნა და გაუმჯობესება

შემუშავდა ერთიანი მონაცემთა ბაზა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაგროვებლად. ეს შესაძლებელს გახდის შემუშავდეს ანალიზზე დაფუძნებული პოლიტიკა და პროგრამები.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში

ბავშვების ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ

მომზადდა მართლმსაჯულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებში ჩართული ბავშვებისათვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები ბავშვთა უფლებების და შეტყობინების პროცედურების შესახებ. კანონთან კონტაქტში მყოფმა ბავშვებმა და სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და არსებული მექანიზმების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე.



ხარისხიანი განათლება ყველასათვის



©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2015/გურგენიძე

სკოლამდელი განათლების ეროვნული სავალდებულო სტანდარტები

საქართველოს მთავრობამ გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შეიმუშავა ხუთი ეროვნული სავალდებულო სტანდარტი და ტექნიკური რეგულაცია ადრეული და სკოლამდელი განათლებისთვის. სავალდებულო სტანდარტების შემუშავება იყო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის მოთხოვნა.

სტანდარტები ხელს შეუწყობს ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ჩამოყალიბებას, რომელიც მიმართულია ბავშვის განვითარებაზე, პასუხობს მის ინტერესებსა და საჭიროებებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო და ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას. თითოეული საბავშვო ბაღი (საჯარო თუ კერძო) ვალდებული იქნება 2018 წლის ბოლომდე, ავტორიზაციის მისაღებად, შესაბამისობაში მოვიდეს ამ ახალ სავალდებულო სტანდარტებთან.

აღნიშნული სტანდარტებიდან და რეგულაციებიდან ოთხი უკვე დაამტკიცა მთავრობამ 2017 წლის ოქტომბერში:

- ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი;
- აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი;
- ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზების და კვებითი ღირებულების ნორმების განმსაზღვრელი ტექნიკური რეგლამენტი;
- ტექნიკური რეგლამენტი ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ.

დარჩენილია ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობის და აღჭურვილობის ტექნიკური რეგლამენტის ისევე, როგორც საბავშვო ბაღების ავტორიზაციის წესის დამტკიცება, რაც უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ კანონის რეალიზებას.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონისა და ახალი ეროვნული სტანდარტების განხორციელების მიზნით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2017 წელს ჩამოაყალიბა სკოლამდელი განათლების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება საკანონმდებლო და აღმასრულებელი

ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. გაეროს ბავშვთა ფონდი დაეხმარა საბჭოს ახალი კანონის დანერგვისთვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებაში.

ყველა მუნიციპალიტეტს ეკისრება ვალდებულება, სკოლამდელ დაწესებულებებში დანერგოს ახალი სტანდარტები. გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით საკოორდინაციო საბჭომ მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი წარმომადგენლებისთვის გამართა რეგიონული საკონსულტაციო და საინფორმაციო სესიები მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს სესიები ეხებოდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობებსა და ახალ ეროვნულ სტანდარტებს. სტანდარტების დანერგვისათვის, მუნიციპალიტეტებს მოუწევთ ახალი ადგილების შექმნა საბავშვო ბაღების აშენების და არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის გზით ან ისეთი ალტერნატივის მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის.

სტანდარტების მიზანია, ყველა ბავშვისთვის იყოს ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდა და გაუმჯობესდეს განათლების ხარისხი.

ეს მოითხოვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის უწყვეტ პროფესიულ გადამზადებას, რათა მათი კომპეტენცია და უნარები შეესაბამებოდეს ახალ სტანდარტებს. ასევე საჭიროა მუნიციპალური რეგულაციების დახვეწა და ხარისხის შიდა და გარე კონტროლის სისტემის შემოღება.

ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობისთვის გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სკოლამდელი პედაგოგების სასწავლო პროგრამა, საგანმანათლებლო რესურსები და განათლების სტანდარტების მონიტორინგის სისტემა. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ასევე შეფასდა სასკოლო მზაობის

პროგრამები ეროვნულ დონეზე. ამ შეფასების მიზანია, 5-6 წლის ყველა ბავშვს მიუწვდებოდეს ხელი პროგრამებზე, რომლებიც მას ცხოვრებისეულ უნარებს განუვითარებს და მოამზადებს ზოგადი განათლების მისაღებად. ამ შეფასების შედეგებს დაეფუძნება განათლების სამინისტროს 2018 წლის გეგმა.



© გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2018/ბლაგონრაგოვა

ესტონეთ-საქართველოს პარტნიორობა ხარისხიანი განათლებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს, „ინოვე“-ს (ესტონეთის პროფესიული ფონდი), გაეროს ბავშვთა ფონდს, სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და საპილოტე სკოლებს შორის სამწლიანი თანამშრომლობა დაიწყო, რომლის მიზანია საქართველოში განათლების ეროვნული სისტემის ხარისხის გაუმჯობესება და ინკლუზიურობის გაზრდა.

თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდება ბაკალავრიატის და სამაგისტრო საფეხურის პროგრამები და დაინერგება საქართველოს უნივერსიტეტებში სკოლამდელი და ზოგადი განათლების მასწავლებლების მოსამზადებლად. 15 საპილოტე სკოლაში ამუშავდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებითი კლასებისათვის, რაც ითვალისწინებს ინოვაციებს, სწავლების ახალ მიდგომებს და ციფრულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესებში. მომავალში ახალი სასწავლო გეგმა ქვეყნის მასშტაბით ყველა სკოლაში დაინერგება.

აქამდე მიღწეული შედეგებიდან აღსანიშნავია:

- ხარვეზების დადგენისა და შემდგომი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით შეფასდა პროექტის მონაწილე სკოლების საჭიროებები.
- პარტნიორი სკოლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ესტონეთის ინოვაციების ფონდის ექსპერტებმა ჩაუტარეს ტრენინგი ინოვაციური სწავლების მეთოდებისა და მათი ეროვნულ სასწავლო გეგმაში დანერგვის შესახებ.
- ამ პროცესის მხარდასაჭერად შეიქმნა მთელი რიგი საგანმანათლებლო რესურსებისა, როგორც მეთოდური რეკომენდაციები, სასწავლო მოდულები და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების ინსტრუქციები.
- მოეწყო სასწავლო ვიზიტები ესტონეთში პარტნიორი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. დამყარდა პარტნიორობა ესტონურ სკოლებთან. ესტონური სკოლების პედაგოგები და დირექტორები ასევე ეწვივნენ საქართველოს


საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორუმები

გაეროს ბავშვთა ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ერთობლივი ძალისხმევით შედეგად გაიმართა საგანმანათლებლო პოლიტიკის ოთხი ფორუმი, რომელზედაც განიხილეს განათლების სახელმწიფო პრიორიტეტები და შესაბამისი ინვესტიციები. ფორუმების თემები იყო: ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, ადრეული და სკოლამდელი განათლება და უმაღლესი განათლება.

თითოეულ ფორუმზე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, ადგილობრივი ექსპერტები და სტუდენტები, მსჯელობდნენ საქართველოში განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

და გამართეს ინდივიდუალური კონსულტაციები ქართული სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

- პარტნიორობა სკოლებმა მიიღეს საჭირო აღჭურვილობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დასაწერად სწავლების პროცესში.
- მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ესტონელი ექსპერტების, ცხრა სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაწილეობით. ამ თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული და დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტი მასწავლებელთა მომზადების სამაგისტრო პროგრამებისთვის საფუძველს შექმნის აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამების შემუშავებისთვის.



დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა




©გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2017/ბლაგონრაგოვა

ინოვაციები ჯანმრთელობის სფეროში

ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონული მოდული

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შემუშავდა ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. მოდული თავს უყრის 0-დან 6 წლამდე ბავშვების შესახებ მნიშვნელოვან მონაცემებს, აფასებს ბავშვის განვითარების ტრაექტორიას, მოიცავს ინფორმაციას ბავშვის კვებაზე, ბავშვის უგულბელოფის და მასზე ძალადობის შესახებ. მოდულში შედის ასაკთან დაკავშირებული გზავნილები სამედიცინო პერსონალისთვის, რომლებიც შეახსენებს მათ ჯანმრთელობის ისეთ საკითხებს, რომელთა განხილვა საჭიროა მშობლებთან და მომვლელებთან ერთად. მოდული შეიცავს ბავშვის ასაკის მიხედვით მომზადებულ გზავნილებსაც დედებისთვის.

ეს არის მარტივი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს პირველადი ჯანდაცვის მუშაკებს, შეაფასონ ოჯახის ეკონომიკური პირობები და დაეხმარონ დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო დახმარების მიღებაში. მოდული ასევე აფასებს დედის ჯანმრთელობას მშობიარობის შემდგომ პერიოდში და შესაძლებელს ხდის დროულად გამოვლინდეს დედის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებები.



ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემა სოციალური სერვისებისთვის

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შეიქმნა ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემა სოციალური სერვისებისთვის. მასში შედის ბავშვებისა და მათი ოჯახების სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი. ამ ელექტრონულ პლატფორმას გამოიყენებენ სოციალური მომსახურების სააგენტოები (როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ დონეზე), ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმწოდებლები (დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, რეაბილიტაციის ცენტრები და სხვა) და სახელმწიფო სამსახურებში მომუშავე სოციალური მუშაკები. ცენტრალური სერვერი განთავსებული იქნება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემა ფარავს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პროგრამის ყველა ასპექტს, რომელსაც ახორციელებს სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო. კერძოდ, მასში შედის:

- რეაბილიტაციისა და აბილიტაციის პროგრამა
- ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა
- დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა
- შვილად აყვანის პროგრამა
- რეინტეგრაციის პროგრამა
- მინდობით აღზრდის პროგრამა
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების პროგრამა
- სოციალური თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა
- მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა
- შინმოვლის პროგრამა მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის
- სპეციალიზებული ოჯახის ტიპის მომსახურების პროგრამა მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის.

2018 წელს დაიწყება აღნიშნული ელექტრონული პლატფორმების ტესტირება ჯანდაცვისა და სოციალურ სისტემებს შორის კავშირების შესაფასებლად.

ბავშვთა ადრეული განვითარება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა ბავშვთა ადრეულ ასაკში განვითარების სამსაფეხურიანი სისტემის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს პირველადი ჯანდაცვის მუშაკების მიერ ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგის შედეგად განვითარების შეფერხების ან რისკ-ფაქტორების ადრეულ სტადიაზე გამოვლენას. კონცეფცია ასევე გულისხმობს მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახების დაკავშირებას არსებულ სოციალურ, ფსიქოსოციალურ თუ სამედიცინო მომსახურებებთან.



პირველი – სოფლის/ თემის დონე, რომლის მიზანია 6 წლამდე ბავშვების განვითარებაზე მეთვალყურეობა და მშობლების ინფორმირება, ასევე გადამისამართება შესაბამის სამსახურებთან განვითარების შეფერხების აღმოჩენის შემთხვევაში.

გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მომზადდა შეფასების შესაბამისი დოკუმენტები და შეთანხმდა ყველა მონაწილე მხარესთან. სამსაფეხურიანი სისტემა გულისხმობს ბავშვის მონიტორინგს ყველა დონეზე:

მეორე – რაიონის დონე, სადაც ხდება სოფლად მცხოვრები იმ ბავშვების გადამისამართება, რომლებსაც აქვთ განვითარების შეფერხებები. ამ დონეზე უნდა მუშაობდეს სათანადოდ მომზადებული პედიატრი, რომელიც დააკავშირებს ოჯახს შემდგომი ინტერვენციისთვის საჭირო სამსახურთან.


მესამე – სპეციალიზებული ზრუნვა იმ ბავშვებზე, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი დახმარება. შეფასების სტანდარტიზებული დოკუმენტები ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ გარეშე ექიმებს განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მხოლოდ 20-დან 30%-მდე შეუძლიათ გამოავლინონ. სტანდარტიზებული მასალების საშუალებით კი ეს პროცენტი 70-დან 80-მდე იზრდება. გარდა ამისა, შეფასების სტანდარტიზებული დოკუმენტების გამოყენება არა მხოლოდ ეხმარება შეფერხებათა ადრეულ სტადიაში გამოვლენას, არამედ აუმჯობესებს რეფერირების სისტემასა და შესაძლებელს ხდის დროულ ჩარევას.

შეფასების ამ დოკუმენტების პილოტირება მოხდება აჭარის რეგიონში 2018 წელს.

პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის პროცესი

საქართველოში მიმდინარეობს პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის პროცესი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების გზაზე. იგი გულისხმობს არსებული სამშობიარო სახლებისთვის მომსახურების დონეების (I-III დონე) მინიჭებას თითოეული დონისათვის წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადამიანური რესურსის, ინფრასტრუქტურის, აღჭურვილობის, ლაბორატორიისა და დიაგნოსტიკური მომსახურების გათვალისწინებით.

პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის პროცესი 2017 წელს ქვეყნის მასშტაბით კიდევ უფრო გაფართოვდა. პროექტის ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შეფასდა სამშობიარო სახლები და გადამზადდა იქ მომუშავე სამედიცინო პერსონალი (მეან-გინეკოლოგები, ბებიაქალები და ნეონატოლოგები) აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-თიანეთის რეგიონებში. რეგიონალიზაციის კონცეფციის თანახმად, მშობიარობა უნდა ხდებოდეს დაწესებულებაში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კონკრეტული ფეხმძიმე ქალის საჭიროებებს აღჭურვილობის და კვალიფიციური პერსონალის თვალსაზრისით.



მნიშვნელოვანი ცვლილება იყო პირველი დონის სამშობიარო სახლების გაუმჯობესება მეორე დონემდე, რაც გულისხმობს, რომ სულ უფრო მეტი დაწესებულება აკმაყოფილებს სავალდებულო სტანდარტებს (ამჯერად მეორე დონეს 50 დაწესებულება აკმაყოფილებს,

რეფორმამდე კი ასეთი მხოლოდ 24 იყო). ამჟამად სისტემა სრულად პასუხობს პერინატალური ზრუნვის სამოქმედო გეგმის რეკომენდაციებს (რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით შემუშავდა და დამტკიცდა 2011 წელს).

ახალგაზრდები

მშობლობის მხარდამჭერი პროგრამების კვლევა

ოჯახის დახმარებისა და მშობლობის პროგრამები გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური ინკლუზიის პროგრამის ცენტრალური ნაწილია. ჩატარებულია არა ერთი კვლევა, რომელიც ადასტურებს პოზიტიური მშობლობის მნიშვნელობას მოზარდების ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, დაცულობასა და ზოგად კეთილდღეობაზე. საქართველო მონაწილეობდა გაეროს ბავშვთა ფონდის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მიერ 2017 წელს ჩატარებულ მშობლობის რეგიონულ კვლევაში, რომლის მიზანი იყო მოზარდებისა და მათი ოჯახებისთვის მშობლობისა და აღზრდის შესახებ საგანმანათლებლო და სხვა სახის პროგრამების შემუშავება.

კვლევამ შეისწავლა, თუ როგორ აღიქვამენ მშობლობას და როგორ იქცევიან მოზარდი გოგო-ბიჭების მშობლები, რა გავლენას ახდენს საქართველოში ინდივიდუალური, ინტერპერსონალური, ინსტიტუციური თუ სტრუქტურული ფაქტორები მშობლობის დინამიკასა და პრაქტიკაზე.



ბავშვები ციფრულ სამყაროში

მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობის ანგარიში

„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017: ბავშვები ციფრულ სამყაროში“ წარმოადგენს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ პირველ სრულყოფილ მიმოხილვას, რომელშიც სხვადასხვა ქრილშია განხილული ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენა ბავშვების ცხოვრებასა და მომავლის პერსპექტივებზე, განსაზღვრულია საფრთხეები და შესაძლებლობები.

გაეროს ბავშვთა ფონდმა საქართველოში დაიწყო ამ საკითხზე ფართო მსჯელობა. ანგარიშის წარდგენაზე საქართველოს კანონმდებლებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, ტელეკომუნიკაციის ოპერატორებმა და სხვა პარტნიორმა მხარეებმა იმსჯელეს ინტერნეტზე ბავშვების წვდომასა და მასთან დაკავშირებულ შესაძლო საფრთხეებზე.



© გაეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2018/ბლავგონრაგოვა

ბავშვთა საკითხების გაშუქებისას ეთიკური სტანდარტების დაცვა



©გეროს ბავშვთა ფონდი/საქ-2015/გურგენიძე

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ გეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით 2017 წლის აპრილიდან დეკემბრამდე ჩაატარა ბავშვთა საკითხების გაშუქების მონიტორინგი ქართულ მედიაში. გაანალიზდა ბავშვებთან დაკავშირებული ინფორმაცია ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში და მისი შესაბამისობა პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან.

თანამშრომლობის ფარგლებში წინასწარ შერჩეული მედია საშუალებებისთვის ჩატარდა სემინარები, გაიმართა დისკუსიები სხვადასხვა საკითხზე. ქარტიისა და იუნისეფის ერთობლივი პრიზი გადაეცა ბავშვთა საკითხებზე მომზადებულ საუკეთესო ჟურნალისტურ ნამუშევარს, რომელიც შესაბამებოდა ეთიკური და სიღრმისეული გაშუქების სტანდარტებს.

ამ თანამშრომლობამ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. ეთიკური სტანდარტების დაცვით შესრულებული ჟურნალისტური ნამუშევრების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და ჟურნალისტები და პროდიუსერები ახლა მეტი ყურადღებით ეკიდებიან ბავშვთა საკითხების გაშუქებას. გეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობის შედეგად ქარტიამ მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა და ხელი შეუწყო ეთიკური გაშუქების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას საქართველოში. პარტნიორობის შედეგად შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებები გამოიყენება ქარტიის მიერ მიღებული საჩივრების განხილვისას, ხოლო მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებით შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები მედიის წარმომადგენლებისათვის.

საინფორმაციო ბიულეტენი გამოდის ინგლისურ და ქართულ ენებზე. მისი მიზანია გაეროს ბავშვთა ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ეს საინფორმაციო ბიულეტენის მეოცე გამოცემაა. გთხოვთ, გვაცნობოთ, თუ გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება გაეროს ბავშვთა ფონდისა და მისი საქმიანობის შესახებ.

© გაეროს ბავშვთა ფონდი

ივლისი, 2018

გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)

tbilisi@unicef.org

www.unicef.ge

<http://data.unicef.ge>

დიზაინი: ForSet

unicef 
for every child